

"დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რდგოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე
მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАК-
ЦІЮ "ДРОБНА".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ბამონდის ყოველ-ღვინო ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: სურვილის მიხედვით გან-
ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებში
შილ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეკი.

მიიღება ხელის-მოწერა კაპეტს

იღროებაზედ

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — მ. ჭილაძეების
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მასე ნათაძესთან; თელავში — ვანო როს-
ტომაშვილთან; ბორჯომში — ადალო თეთაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით
ოთხი მანათი. მაწვენილებით პირთბები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირობათ, რომელნიც შეზღოდ არიან გამოცხადე-
ბუდნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა კუნნაღს

„ივერიის“

ზინც კალკე დაიბარებს მთელი 1885 წლით ჟურნალს «ივერიის», უნდა
გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთა-
თვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ აღრესით: ВЪ ТИФЛИСѢ,
ВЪ РЕДАКЦІЮ «ДРОБНА».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან «დროება» და «ივერია» ერთის
წერილით დაიბაროს და იმისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს
«დროების» აღრესით.
რედაქტორი ივერიაშია ილია ჭავჭავაძე.

კვირას, იანვრის 6-ს,

სათაუდა-აზნაურო სკოლის გამგე
კომიტეტი გამართავს თბილისის «არუ-
კოკის» დაბაზში

ბაღს

სკოლის სასარგებლოდ. ძალები შე-
იძლება დაესწრონ ბაღს გულ-მეკრუ-
ლი კაბებიტაც. ბაღი დაიწყება სალა-
მოს ცხრა საათიდან.

ბილეთის ფასი ორ-ორი მანათია.
წინადავე ბილეთების ყიდვა შეიძლება
შავერდოვის პავილიონში და არუკო-
კის შევიცართან.

«დროების» ჭელტონი, იანვრის 4-ს

კველი მართული ოჯახი

(წერილი პირველი)

შიდი ხანი არ არის, რაც ეგრედ
წოდებულმა სოციოლოგიურმა მეც-
ნიერებამ ახალი ნათელი მოჰქინა სა-
ზოგადოდ საოჯახო უფლებას, ოჯა-
ხის ძველს წყობილობას, მის გარე-
განს და შინაგანს აგებულებას. იუ-
რიდიულს მეცნიერებაში დიდხანს იყო
მიღებული საყოველთაოდ ის აზრი,
ვითომ პირვანდელ ქორმას ყველა
ისტორიული ხალხის საოჯახო წყობი-
ლობისას შეადგენდა პატრიარქული
ოჯახი, რომელშიაც ოჯახის მამას
განუხაზლერელი უფლება ჰქონდა მი-
ნიჭებული. ამ ქორმის ოჯახს სწე-
ულულები უზენებდენ თითქმის ყველა
ისტორიული ხალხის ცხოვრებაში და
ამაზედ აფუძნებდენ მის მუდმივს ძა-
ლას, საყოველთაოდ მნიშვნელობას.
პატრიარქული ოჯახი—ოჯახის მამას
აძლედა სრულს, განუხაზლერელს

უსხონთი 1884 წელს.

თბილისი, იანვრის 4-ს.

შიდი მეცნიერება იქნება, რამა
მოძიილველმა მოიწადინოს სხვა-და-სხვა
სახელმწიფოთა ცხოვრების განცალკე-
ვებით გადათვლიერება. ეს ძნელი
იყო მაშინაც კი, როდესაც ყოველი
სახელმწიფო თავის ქერქში შემწყველ-
ულიყო, სამხლერები მაგრად შემოე-
ზღუნდა და თითქმის განმარტოვებით
სცხოვრებდა გარეშე ქვეყანასთან კავ-
შირის დაუტერლად. მხლა, რაკი მთე-
ლი მეგობრა დაქსელილია რკინის-გზე-

უფლებას სხვა წვერთა შესახებ; ოჯა-
ხის მამა იყო ერთად-ერთი პირი, რომ-
ელიც განაგებდა საოჯახო საქმეებს;
დანიარჩენი წვერნი მის მორჩილებაში
იყვნენ; მათ იკოდენ მხოლოდ თავიან-
თი მოვალეობა და სხვა უფლება
სრულიად არა ჰქონდათ-რა. ამასთან
ძველი თეორია ჰქადაგებდა იმასაც,
რომ პატრიარქულ ოჯახში კოლი
ქმრის საკუთრება არისო, მისი ქან-
ება, სწორედ ისე, როგორც მთლად
ოჯახი თავისის წვერებით. ძველი თეო-
რია იფიყებდა საზოგადო წარმატების
კანონს და პატრიარქულ ოჯახს სთელი-
და პირვანდელ ქორმად. სოციოლო-
გიური მეცნიერება სხვა გზას დაად-
გა,—მან პატრიარქული ოჯახი აღივი-
რა შედეგად საზოგადო განვითარები-
სა, საზოგადო წარმატების კანონის
და დასკვნა, რომ ამ ოჯახს წინ მი-
უძღვიან სხვა ქორმები სქესობრიუ
ურთიერთობისა. ახალი თეორია¹⁾

1) სერჟ-Джонъ Лѣббокъ, „Начала
Цивилизаціи“ С. П. 1876 г., глава III.
ღებოკის წინააღმდეგია, ამ შემთხვევაში, სწე-
სერი, რომელიც ამბობს, რომ საზოგადო

ბითა და ტელეგრაფებით, რომელიც
ეროპიელთა წინაპართ არც-კი დასი-
ზმრებიანთ, ესეთი ხელოვნური გან-
ცალკევება ყოველად შეუძლებელია.
ინგლისის ისტორია გადახლოდებულია
საფრანგეთისა და ბერმანიის ისტო-
რიასთან და, პირიქით, ბერმანია და
საფრანგეთი სშირად ინგლისის პოლი-
ტიკის შემაცქერალნი არიან. თვით
შორეულნი წერილინი სახელმწიფონი
კი ვერ მოსცილებიან ამ გარეშე
გავლენას და მათი პოლიტიკა გარს
დასტრიალებს დიდთა სახელმწიფოთა
პოლიტიკას, როგორც შორეულნი
მნათობნი მშის სისტემაში ცენტრს ამ
სისტემისას.

საზოგადო სურათი წარსულის წლის
პოლიტიკისა შთელს მეგობრაში იყო
გარეშე ქვეყნებისკენ ხელების პოტი-
ნი და დროებით შინ დაზავება. თი-
თქო ამ შავით დიდ სახელმწიფოთ სწად
დათლო მოგვოთ გარეშე ქვეყ-
ნებში უფრო თამამად მოქმედებისა,
და გავლენისა და კოლონიების
მოპოვებისათვის. სერჟიევიცაში სა-
მის იმპერატორის ეყრათ სოული
შევიდობიანობა დაამკარა სამთა იმ-
პერატორთა შორის და წლის ბო-
ლოს ძეთი რამაც მოხდა, რომელ-
საც თითქმის არავინ არ მოელოდა,
—შევიდობის ჩამოგდება ბერმანიისა და
საფრანგეთის შორის. მართის სიტყვით,
დიდნი სახელმწიფონი დაშობილდენ და
თვალში ჩხირად ყოველს მათგანს მხო-
ლოდ ინგლისი მიჩნდა. ეს აღვილა-

ამტკიცებს იმასაც, რომ პირვეული
ოჯახი აღორძინდა ისე, როგორც
ყოველგვარი იურიდიული საკუთრება:
კოლი დაისაკუთრა კაცმა მხოლოდ
მაშინ, როცა მან შეიგნო, თუ რა
არის კერძო საკუთრება მიწისა, ნიე-
თისა და სხ. ამ მხრივ ახალი თეორია
სრულს ანალოგიას ჰპოვებს საოჯახო
წარმატების და საზოგადო იურიდიუ-
ლი განვითარების შორის. როგორც
შეგნიშნეთ, სოციოლოგიურის თეო-
რიის შეხედულობით, პატრიარქულს
ოჯახს წინ მიუძღვიან სხვა ქორმები,
რომელნიც ერთი-ერთმანეთს თან მოს-
დევენ, ერთი-ერთმანეთს სცვლიან,
სზობენ²⁾. აქ საოჯახო ცხოვრების

ცოლ-ქმრობასთან შეიძლება კაცს საკუ-
თარი ცოლიც ჰყოლოდა; თუ კაცს ვეღურს
მდგომარეობაში შეეძლო მოძრავი ნიე-
თი საკუთრებად ჰქონოდა, საკუთარი ცოლის
ყოლიც შეეძლო, „Основания Соціоло-
гii“ т. 2, стр 700—701.

2) სერჟი თავის თხზულებაში — „Осно-
ванія Соціологiи“, т. 2, стр. 697—742,
ამტკიცებს, რომ ცოლ-ქმრობამ განვლო რა-
მოდენიე ხანა, რამდენჯერმე იცვალა ფერი-

დაც არის ასახსნელი. ინგლისი ყოვე-
ლად ძლიერი იყო და არის კიდევ
თავის ძლოტითა და კოლონიებით.
რაკი, როგორც საფრანგეთმა, ისე
ბერმანიამ და თვით იტალიამაც მოინ-
დომეს თავიანთ კოლონიალურ პო-
ლიტიკის გაძლიერება, ინგლისს ეს
ახალი ამბავი სასიამოვნოდ არ დარ-
ჩებოდა და ყოველის გზით ეცდებოდა
ხელის შეშლას. ამითი აიხსნება, რომ
ყველა სხვა სახელმწიფონი ჯიბრში
ჩაუდგენენ ინგლისს და მოინდომეს
მისი დნავება, როგორც საქმით,
თვით კოლონიებში, ისე სიტყვით,
დიპლომატიურ მოლაპარაკების დროს
და სხვათა შორის იმ კონჭერენცია-
ზედაც, რომელიც ამ ქამად შეყრი-
ლია ბერმანიის დედა-ქალაქში: აქ
ინგლისის წარმომადგენელი ყოველ-
თვის უმცირესობა ეკუთვნის და სში-
რად იმისთანა უმცირესობას, რომ-
ელიშიაც ერთის პირის მეტი არავინ
არის.

საც მოაპრობით, რასაკვირველია,
ინგლისი ბევრსა ჰკარგავს და ენერ-
გიისა მისი ვარები ვე-
რედ კიდევ დაუსრულებელ ომში არიან
უხილავ მანდისთან, ვერც აჭრიკის
სამხრეთში, სადაც მას მოელის თი-
თქმის მოწყვეტა მრავალის შრომითა
და წვალებით შეძენილი კოლონიე-
ბისა; მაგრამ ასეთს დაჩავებას ინგლი-
სისას ჯერ თითქმის არავითარი სარ-
გებლობა არ მოუტანია საფრანგეთი-

განვითარება ემარჩილება საზოგადო
წარმატების კანონს (законъ разви-
тія). ისტორიული ჭაქტების შესწაე-
ლამ, აწინდელ ველურ ხალხთა ცხოვ-
რების გამოკვლევაში მიიყვანა მეცნიე-
რება იმ დასკვნამდინ, რომ თავდა-
პირველად არსებობდა მხოლოდ სქე-
სობრივი არევე დაწევა, საერთო ცოლ-
ქმრობა (общинный брак), სადაც
დედა-კაცი, როგორც კოლი, ეკუთვ-
ნოდა მთელს გვარეულობას, მთელს
ტომს (племя, родъ). ამ გვარ მდგო-
მარეობაში ქალი შეადგენდა ერთად-
ერთს პირს, რომლისაგანაც მომდი-
ნარეობდა ყოველგვარი იურიდიული
დამოკიდებულება იმ პირთა შორის,
რომელნიც გვარეულობას, ტომს
ეკუთვნოდენ. წვერთა შორის ნათესა-

წინად არსებობდა სრული არევე-დარევა (не-
порядочное половое сожителство), მე-
რე დაარსდა პოლიანდრია, მრავალ-ქმრობა,
მას თან მოჰყვა პოლიგინია — მრავალ-ყო-
ლობა; სულ უგანსხვანი ქორმა იყო მო-
ნობაში. თვითუელი ქორმა გამოწვეული
იყო საქიროებით და თავისი საბუთები ჰქონ-
და.



სათვისაც, რომელიც უარეს წვლენაშია ტონკინში და ჩინეთში, ვიდრე ინგლისი მკვიტვი. მრთალ-ერთი სახემწიფო, რომელიც ამ დავი-დარებით სარგებლობს და თავის საქმეს წინ აყენებს, არის ბერმანია. იგი, დიდის კანცლერის ხელმძღვანელობით, თოფის გაუსროლელოდ, იძენს ქვეყნებს შორეთულს ღირსს მკვიტვიში, მართავს მათთან პირდაპირს დამოკიდებულებას და თავის დედა-ქალაქსა ჰხდის თითქმის მთელი ქვეყნის შუა-გულად და გამგებლად. მსეთმა გავლენამ მთელის ქვეყნის საქმეებზედ შესძინა თავადს ბისმარკს არამც თუ უმეტესი მნიშვნელობა გარეშე პოლიტიკაში — უიმი-სოდაც ეს მნიშვნელობა თითქმის შეუღარებელი იყო, — არამედ ისე მოაუგო გული იმის თანამეგობრულთა, რომ წინააღმდეგობა ბისმარკისადმი პალატას მეტის-მეტად ძვირად უჯდება-მართლაც ამ ჟამად ბერმანიის საპოლიტიკო ასპარეზზე სწარმოებს საკვირველი სანახავი, რომელსაც სხვა სახელმწიფოებში ძვირად შეხედვით.

თითონ ეს მაზრები, რომელთაც ბისმარკის მოსისხლე მტერნი გაჰზავენს პარლამენტში დეპუტატებად, დღეს ბისმარკსე უკავნიან მხურვალე თანაგრძნობის ტელეგრაფებს და უხვად ფულსაც, რადგან პარლამენტმა უარი უთხრა კანცლერს რამდენიმე ათასის მარკის ხარჯის მომატებისა.

დი-ზედ მოჰხდა და ხელახლად განუხ-ლა მათ ძველი დარდები და შიში უცნაურის მომავლის წინაშე; ამას ზედ დაერთო ის საშინელი კრიზისი, რომელიც რამდენსამე ათასს მუშას უმუშაოდ და მამასადამე უღუკმა-პუროდ სტოვებს. მაგრამ ეს კრიზისი დროებითი არ არის და არ შეადგენს განსაკუთრებულს კუთვნილებას მხოლოდ შარშანდელის წლისას. პუარე-ბელი სიმდიდრე ინგლისისა ისეა გა-ნაწილებული, რომ როდესაც ლორ-ლებს და ჰერცოგებს უხილავი მამუ-ლები სანადიროდა აქეთ გადადებული და შიგ არც ერთ მიწათ-მომაქმედს არ უშვებენ, რომ ბარი დაკრას და მსა-ზრდობელი მცენარე აღმოაცენოს, იმავე დროს ურიცხვი მუშა ხალხი ევრა მოგობს დიურ სამუშაოს და მიწის საღალოდ მოინახვ ხომ სიზმრ-დაც ვერ გაჰხედავს ფიქრს, რადგან, რაც თავისუფალია, ხელისებლ დატა-ცებულია და რაც მეტია, იგი არის გადადებული მდიდარ მემამულეთა სა-ქეფოდ.

საფრანგეთის შინაური საქმეები თუმ-ცა უკეთესს მდგომარეობაში არიან, მაგრამ ბევრად უკეთესში არა: მუშა-ხალხი აქაც მღელვარებს და მღელვარებს არა სახუმროდ. მკითხველმა იცის, რომ ზედი-ზედ მათ რამდენიმე დემონსტრაცია მოახდინეს პარიზში ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაგრამ დე-მონსტრაციები ისე საყურადღებონი არ იჩინოებიან. რომ იხილია იმიოთ რა კიდეც მუშა-ხალხის შევიწროებისაგან არ იყვნენ გამაწყვეთნი. მერე წრე-ულს საფრანგეთის მუშა-ხალხის ყო-ფა-ცხოვრებაზედ ცუდად იმოქმედა ხოლმე რამაც, რომელმაც განსაკუთრე-ბით შეამცირა წარმოება სამხრეთ-საფრანგეთში და მაშასადამე სამუშაო საქმეც.

ნის და საზოგადო კანონის დასამტ-კიცებლად. ამისათვის დიდი სიფრთხილვა საჭიროა, როცა ამ საგანზედ ესაჯიოთ. თითო-ოროლა მაგალითი ბევრს არას ამტკიცებს, ერთი და ორი ქაქტი ჯგროვანის სინამდვილით ვერ უჩვენებს საზოგადო კანონს, ვერ აკ-მაყოფილებს მეცნიერულს მოთხო-ვნილებას, თუმცა კი შეიძლება გვიჩ-ვენოს ის გზა, რომელსაც ამიერიდ-გან უნდა დაადგეს ჩვენი საოჯახო უფლების ისტორია. მკირედი რიცხვი ქაქტებისა მხოლოდ ეჭვს ჰბადავს მკითხველში, ცოტათი მაინც ძირს უთხრის იმ შეხედულობას, რომელსაც პატრიარქული ოჯახი მიანი-საოჯახო წყობილობის პირვანდელ ჭორმად.

ჩვეულებრივს მკითხველს სწორედ ეს ოჯახი ჰგონია ჩვენს ძველ ცხოვ-რებაში საოჯახო წყობილობის დასაწ-ყისად, მაგრამ, თუ კი დააკვირდა ზოგიერთა ქაქტებს, აშკარად დანა-ხავს თავის შეცდომას. ბარდა იმ კანონისა, რომელიც ჩვენ ვჩი-ვენეთ და რომელიც, როგორც ჰიქს-

მეროპას რომ თავი დაენებოთ და ამერიკაში გადავიდეთ, იქ წარსულ წელს ერთს საყურადღებო მოვლენას შევნიშნათ. იქ მთელი წელიწადი გაცხარებულის საარჩევნო ომის შემ-დეგ პრეზიდენტის კანდიდატად ამორ-ჩეულ იქმნა ნიუ იორკის შტატის გუ-ბერნატორი, მოთავე დემოკრატების პარტიისა, ძლიერად, წინააღმდეგ რესპუბლიკელების კანდიდატის ბლე-ნისა, რომელსაც ხალხი პატროსან კაცად ვერ იცნობს. თუმცა ბლენი დიდის ნიქის პატრონია და ძლიერ-ლანდზე გამჭირავიც, მაგრამ ამერი-კელმა ხალხმა უბატონა ნიქიერე-ბას პატროსანი შუათანობა არჩია და კვერთხი მმართველობისა დემოკრა-ტიების მოთავეს ჩააბარა.

შინაური მკრიპა

— ღაბა თიანეთიდან ჩამოსულთა გვიამბეს ერთი ფრიად სასიამოვნო გარემოება ამ თითქმის მიყრუებულს მხარეზე: თიანეთში იქაურის მან-რის უფროსის თ. ლ. ჯანდიე-რის თაონობით გაუმართავთ სამკითხ-ველო, რომლისათვისაც დაუბარებიათ რუსეთის საუკეთესო პერიოდული გა-მოცემანი და ქართული ჟურნალ-გა-ზეთები. დიდის სიამოვნებით ვეგამე-ბით ამ ამბავს და ეისურვებთ, რომ ამ გვარი სასარგებლო დაწესებულება არა მარტო თიანეთში და სხვა ამ გვარ დაბასა და სამიზრო ქალაქებში ვამარ-თულიყოს, არამედ ყველგან, სადა კიათ-სა და ოცს კითხვის მსურველს მოაუყრია თავი, — ამ გვარავე ადგილის ღონის ძიე-ბით — სამკითხველოთა დაარსებით — ეზ-რეთთ თაიანთ გონებრივისა და ხნე-ობრივის დაკმაყოფილებისათვის.

— მეორე სასიამოვნო ამბავიც ამ მხარეზე იმავე წყაროთგან: თიანეთი-

დამ ქვა-ფენილის გზის გაყვანის შემუდ-გებიან მომავალ გაზაფხულზე სამ-მხრივ. მართი გზა წავა თელავისკენ და შეავრთებს თიანეთის მაზრას შუა-გულს შიდა-ძაბეთთან, მეორე პირ-და პირ მბილისსა და თიანეთს შე-ავრთებს და წამოვა საგურამოზე, მე-სამე მთებზე გადავა და შეუერთდება პანაურთან ისტორიულს ღარილის გზას. ეს გარემოებაც ფრიად სასიამო-ვნო გარემოებაა თიანეთის მაზრის წარმოებისა და ვაჭრობის აღორძინე-ბისათვის და ჩვენ მხოლოდ ის უნდა ეისურვოთ, რომ ეს განზრახვა მალე შესრულებულიყოს.

— თიანეთის შესახებ ჩვენ ერთი გარემოებაც უნდა მოვიხსენოთ აქ: ხმა ისმის, რომ თიანეთის ვაკე ადგი-ლებზე უნდა დაბინავდეს გრენადრე-ბის დივიზია, ხოლო, როგორც ამ-ბობენ, ბარის მცხოვრებნი უნდა გა-დასახლდნენ სხვა ვაკე ადგილებში, სა-ხელდობრ მარშოშიო. ეს გარემოება ძალიან თურმე აწუხებს ადგილობრივს მცხოვრებლებს და, თუმცა არა სჯე-რათ, რომ ეს ასე მოხდეს...

— მბილისის სათავად - აზნაურო სკოლის მოწაფეთ უსარგებლოდ არ გაუტარებიათ დღესასწაულები. საკუ-თარის თაონობით მათ გაუმართავთ წარმოდგენა სკოლის დარბაზში; მო-უწყვეათ თაიანთი მმობელნი და ნათესავნი და მეტად გაუმხიარულე-ბიათ ეს უკანასკნელი თაიანთის დროს ვატარებთ. შთამაშნათ „ძუნ-წი“ კომ. თ. ბ. მრისთვისა და მე-სამე მოქმედება „მათიკო“-სი. ამ შინაურის წარმოდგენის ბოლოს პა-ტარა ყმაწვილებს გაუმართავთ ლეკური ღულუკზე, სიმღერა და ამით დაუგვირ-გვინებიათ სასიამოვნო დროს ვატა-რება მოზარდის თაობისა.

— ამას წინადა ჩვენს ვაზეთში იყო

რებას. ეს მწერალი მოსუნობების (მოსინეკები) ⁷⁾ შესახებ ამბობს იმას-ვე, რასაც ჰეროდოტი საზოგადოდ ძავკასიის ხალხებზედ. მაგრამ ყველა-ზე გარკვევით მოსუნობების საერთო ცოლ-ქმრობაზე მოგვითხრობს აპო-ლონ როდოსელი... ⁸⁾ რასაკვირვე-ლია, საბერძენთის მწერლებს არ მოს-წონათ ძავკასიის ბარბაროსების ასეთი ჩვეულება და მსენოქონტს უყვირს, რომ მოსუნობებს ჰსურდათ ბერძენის გეტერებთან სახალხოდ დაწოლა ⁹⁾. მართველი ხალხის სხვა ტომებზედ ბერძენის მესტორიენი გარკვევით არას ამბობენ შესახებ საერთო ცოლ-

⁷⁾ მოსუნობები, მოსხები, ანუ მესხები ქართველი ტომის ხალხს ეკუთვნოდნენ; დიმ. ბაქრაძის „საქართველო“ გვ. 33, 43.
⁸⁾ Извѣстія. . Стр. 47. ამ სიტყვებს აპოლონ როდოსელი სხვებსაც ემატებს: „მოსუნობებს სულ სხვანაირი კანონები და უფლება აქვით; რასაც ჩვენ სახლში ჩავდ-ვართ, ისინი ჰიბს დაურიდებლად ქუჩებში ჩადიანო“... „აქ მამა-კაცები დიდად მისდევენ დედათ სქესს... მოსუნობები საზოგადოდ იმი-სთან საქმეს ჰკადრულობენ, რასაც სხვანი მალევე ჰსწავლიან“... „საქართველო“ გვ. 80.
⁹⁾ ibid, გვ. 40.

³⁾ Жиро Телонъ, „Происхождение Семьи“, стр. 7—13, 75—79. იხილეთ ვგროვე „Начало Цивилизаціи“ Лѣ-бока, стр. 56, 71, 75 და სხვანი.

⁴⁾ Происхождение семьи, стр. 9.
⁵⁾ Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ, Гана, ч. 1, стр. 14.
⁶⁾ Извѣстія... Гана, стр. 40. იხილეთ ვგროვე დიმ. ბაქრაძის „საქართველო“ პირ-ველი რვეული, გვ. 80, სადაც ავტორს მოჰყავს ქსენოქონტის სიტყვები.



მოხსენებული, რა წესით უნდა მოეწყოს სამიწ-წყლო საქმეები ბათუმისა და შარსის ოლქებში: ამ საგნის თაობაზე ოქსტიციის მინისტრისაგან შედგენილი პროექტი განიხილა მინისტრთა კომიტეტმა და დადგინა: ა) რომ ნოტარიუსებისაგან აქტების შესრულება და დამტკიცება უძრავის ქონების დასაკუთრებისათვის შარსისა და ბათუმის ოლქში მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა საკუთრების უფლების საბუთი რუსულის კანონების წესით არის მოპოვებული, ბ) დაუდგინა აგრეთვე, რომ ის უძრავი ქონება, რომელზედაც ვალი ირიცხება, არ შეიძლება გაყიდულ იქნას საჯარო გაყიდვით, თუ ან მოსაკუთრეს, ან გიროს მქონეს, არ უჭირავთ საბუთი, შექმნილი რუსულის კანონების წესით. ეს წესები, დადგენილი მინისტრთა კომიტეტისაგან, შემოვიდა იმპერატორმა უმაღლესად დამტკიცა.

ცელკრამები

(„ხრდილოკეთის სააგენტოსი“)

იანვრის 1-ელს

პეტროპოლის. ხმება, რომ იანვარში სასახლეში გამართული იქნება ოთხი ბაღი.

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო რჩევის თავს-მჯდომარედ 1885 წლისათვის.

სენატორი გოლოტიჩი დაინიშნა სახელმწიფო რჩევის წევრად და, სტატუს-სერვეტრის კახანოვის მაგივრად, თავს-მჯდომარედ სახელმწიფოსავე რჩევის დროებით განყოფილებისა, რომელმაც უნდა განიხილოს საჩივრები სენატზე.

წინადადება — ამიერიდამ პირველ ორის განყოფილების მდარეობისა.

მხოლოდ შემოხსენებული ბოლონ როდოსელი ტიბარენების¹⁰⁾ ცხოვრებლამ ასახელეს ერთს ღირს-შესანიშნავს ჭაქტს, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, ნათელს ჰყენს ამ სიბნელით მოცულს საგანს. ტიბარენებზედ იგი მოგვიბრუნებს, რომ, როცა მათი ცოლები შეიღებს შობავენ ხოლმე, თავ-შეხვეული ქმრები ლოგინში დასწვებან, კნესიან, თითქო მშობიარე დედა-კაცები იყვნენ; ცოლები ამ დროს კარგად აჭმევენ მათ და მერე აბანავენ კიდეც, როგორც ჩვეულება მშობიარობის შემდეგ¹¹⁾; ესე იგი კაცები სიმეოლო

¹⁰⁾ ტიბარენები ქართველი ხალხის ტომს, ეკუთვნოდნენ, „საქართველო“, გვ. 33. საქართველოს ძველი სახელი „ტიბარია“ შემდეგში შემოვიდა. ჰეროდოტმა (480—426 ქრ. წინ) ეს სახელი არ იცოდა; ჰეროდოტზე ადრე იხმარებოდა იბერიის მაგიერ ტიბარი ტიბარენი, ibid, გვ. 98—99.

¹¹⁾ Известія... стр. 46. ამავე ჩვეულებას, აპოლონის სიტყვებით, იმეორებს ნიმიფოლოზ სირაქული, ibid, გვ. 207—208, სადაც ამბობს, რომ ტიბარენების ცოლები ქმრებს ისე უკლიან, თითქო ამ უკანასკნელს ეშობათ შვილები. იხილეთ გეროვერე „Происхождение семьи“ Жиро Телона, стр. 80—83, სადაც ავტორს მოკვავს ტიბარენების ჩვეულება და უჩვენებს, რომ ეს

ბაღი ჩინის მხედართ მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცენ აჭიკრის პირველი ჩინი, თუ მათ ერთი ან ორი წელი დაუკვირთ სამხედრო სასწავლებელში.

იკაშხსპი. გუშინ იყო აქ შესამჩნევი მიწის-ძვრა.

პეტროპოლისი. შინაგან საქმეთა-მინისტრის თანამემწე დურნოვო დაინიშნა სტატუს-სერვეტრად; აუადემიკოსი ბეზობრანოვი აღირჩა სენატორად.

პიასტა. დღეს აქ მიწის-ძვრა იყო.

ოლშა. გასული წლის განმავლობაში განიდევნა იქნა აქედამ სამზღვანს გარედ 62 მილ. ფუთი პური და სამასი-ათასი ფუთი მატყელი. რუსის სპირტის წარმოების გაზრცილებისათვის ეგვიპტეში, რუსის ნავსნობის საზოგადოებამ შეამცირა ბაჟი ამ სახელის გადატანაზე ოდესიდამ აღექსანდრიამდე.

პეტროპოლისი. უმაღლესად ებოძათ ნიშნები: კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორს ილიაშენკოს — წმ. ანისა 1 ხარისხ. და 1-ლი თბ. კლასიკური გიმნაზიის დირექტორს მარკოვს — წმ. სტანისლავისა 1 ხარ.

გამოცხადებულია სახელმწიფო ხარჯთა აღრიცხვა 1885 წლისათვის, 866,294,997 მან. შემოსავალ-გასავლის ბალანსით. საზოგადო-სახელმწიფო და საწარმოებელი შემოსავალი აღრიცხულია 775,514,955 მან. არა ჩვეულებრივი შემოსავალი მოსალოდნელია 90,760,642 მან. რომელ-

რად ასრულებდნ მშობიარობის როლს. რაღა? — ამ კითხვის ასანსვლად მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ როცა ქალი არ შეადგენდა კაცის პირივით საკუთრებას და ეკუთვნოდა მთელს ჩამამელობას, ტომს, მაშინ (საერთო ცოლ-ქმრობის დროს) შეიღებს იცოდენ მხოლოდ დედა (матриархат), მათ წარმოდგენილი ჰქონდათ ჭიხკური კავშირი მხოლოდ დედასთან, რომელმაც იგინი ჰშობა; ვინ იყო მათი მამა, ამის გაგება შეუძლებელი იყო, რადგანაც ერთსა და იმავე ქალთან კავშირი ჰქონდათ მრავალ კაცს. შემდეგში დედობრივს ნათესაობას თან მოჰყვა მამობრივი ნათესაობა¹²⁾. მაგრამ ეს ცვლილება პირ-და-პირ როდი მომხდარა; ერთსა და მეორეს შუა, როგორც შემადგენელი ხილი, დაარსდა სიმეოლოური ჩვეულება ზოგიერთ აწინდელ ველურ ხალხებსაც აქვთ, მაგ. აჭიკრის დასავლეთის ნაპირზედ.

¹²⁾ „Начало Цивилизации“ Леббока, стр. 56 და სხ..., სადაც ავტორი ამბობს და ამტკიცებს, რომ პირველად კაცმა იცოდა კავშირი მხოლოდ თავის ტომთან (племя), მერე დედასთან; ამას მოჰყვა ნათესაობა მამის მხრივ და ბოლოს მამის და დედის მხრივ.

თაგან 3,125,000 უნდა შემოვიდეს სამხედრო გადასახდისაგან, 50,000,000 მან. რენტის ახლად გამოცემისაგან, 22,167,642 მან. დარჩენილი უამი მეშვიდე სახემწიფოს მიერ ნათავდებები სესხის განადდებისაგან; ჩვეულებრივი სახემწიფო გასავალი და საწარმოებელი შემოსავალი აღრიცხულია 789,294,697 მან.; არა ჩვეულებრივი 77,000,301, რომელიდანაც 50,000,000 სახემწიფო ბანკის ვალია. 27,000,000 რუბლის გზათა და პორტების ასაშენებლად; დეჟიციტი 7,760,341 მან., რომლის დაფარვაც განზრახულია იმ არა ჩვეულებრივი შემოსავლიდამ, რომელიც მოსალოდნელია ნადელების გამოსყიდვისათვის შემოსულის ფულით. 1884 წ. შედარებით ჩვეულებრივს შემოსავალს ემატება წელს 66,775,440 მან., ხოლო ჩვეულებრივს გასავალს ემატება 62,931,928. მთავარი სავაჭრო შემოსავლის მომატებისა არიან: 4,266,000 იმ ბაჟისაგან, რომელიც დაედო ვრცელ ვაჭრობისა და მრეწველობის მწარმოებელთა საქმეებს, 2,777,000 თამბაქოს ბაჟისაგან, 1,116,500 ჭარხალის შაქრის ბაჟისაგან, 5,581,000 სატამოქნო შემოსავლისაგან, 1,172,338 სახემწიფო რუბლის-გზის შემოსავლიდან, 5,404,420 რუბლის-გზების საზოგადოებათა შემოსავლიდან 4,564,642 სხვა-და-სხვა შემოსავლთაგან. საზოგადო რიცხვს ჩვეულებრივის შემოსავლისას მოემატა კიდევ 49,737,438 მან. სახემწიფო ხარჯთა აღრიცხვაში იმ შემოსავლის ჩართვით, რომელიც მოსალოდნელია ნადელების გამოსყიდვის საქმისაგან. უმაღლესი საგ-

ჩვეულება, სწორედ ისეთი ჩვეულება, როგორც ვაჭრებთ ტიბარენების ცხოვრებაში. ეს ჩვეულება ცხადად გვიჩვენებს, რომ ტიბარენებმაც იცოდნენ საერთო ცოლ-ქმრობა თავისი დედობრივის ნათესაობით (матриархат).

ჩვენის სავნის განმარტებას ერთი ზღაპარი, მითი, კიდევ ეხმარება. ეს ზღაპარია ამორძლებზედ (ამაზონებზედ). ამ უძველესი მითის შესახებ¹³⁾ ჩვენს მწერლობაში გამოითქვა აზრი, რომელსაც, ვგონებთ, ვერ მიიღებს ისტორიული კრიტიკა. სხვათა-შორის, სწორედ ამ მითზედ დაფუძნდა თავისი გუნდრუკის კმევა ძველი ქართველი ქალისადმი ერთმა დიდი პატივ-ცემულმა მწერალმა¹⁴⁾. მაგრამ, თუ პირდაპირ ეძინებად ამ მითს, მაშინ სულ სხვა დასკვნა

¹³⁾ ვერ ისევ ჰომეროსი (900 წ. ქრ. წინ) თავის „ილიადაში“ იხსენიებს ამაზონებს, Известія... стр. 6.

¹⁴⁾ „ივერია“ 82 წ. № IV და V, გვ. 35—34 „ისტორიული სურათები“ დიმი. ჯანაშვილისა. ამ ბევრად შესანიშნავს წერილს, რომელსაც დიმი შრომა და ჯოჯა ერყობა, ფხიზლად უნდა წაკითხვა. მას პირველსავე კაბადონიდად აშარად ემჩნევა ავტორის ტენდენციური შეხედულება.

ნები გასავლის მართავს 54,461,496 მან. სხვა შემოსავლის აღრიცხვაში საწარმოებელი ქადაღდების გამოსყიდვისაგან და ხარჯისაგან, რომელიც ეხლა უფრო მომეტებული იქნება ახალ სესხთა სარგებლის გადახდისგან: 4,394,546 მან. სამხედრო სამინისტრო გამგეობაზე; 1,585,186 მან. ზღვათა სამინისტროს გამგეობაზე — 1,495,567 მან. სახემწიფო ქონებათა სამინისტროზე. არა ჩვეულებრივი გასავლისათვის დაინიშნულია: 27,000,000 სახემწიფო რუბლის-გზის ასაშენებლად და ასალოდინებლად იმ საშუალებათა, რომელთა შემწეობითაც მათ უფრო მეტის საქონლის გადაზიდვად-გადმოზიდვა შეეძლოთ და აგრეთვე ასაშენებლად და გასაქმობისათვის ნავთ-სადგურთა. უკვე შევრდომეს მოხსენებაში ჭინანსთა მინისტრს განზრახვა აქვს გააწეროს ხარჯი იმ შემოსავალთათვის, რომელთაც აქამდე ხარჯი არ ედოთ, შესცვალოს სასამართლო ვაჭრობის წესი და ისე მოაწიოს ეს საქმე, რომ მოსპობილ იქნას ცუდი გავლენა სასამართლო დეკრეტებისა ხალხზე, განაგრძოს შემცირება არა-ჩვეულებრივის ხარჯისა და შეეწიოს მიწათ-მფლობელთა შემოვიწიებელი ნებისამებრ სახელმწიფო საადგილ-მამული ბანკის დაარსებითა, რომლის პროექტი წარდგენილ იქმნება სახემწიფო რჩევაში თებერვლის დამდევს; ამასთანავე მინისტრმა აღიარა, რომ მოსალოდნელს გაიფიქრებს სესხისა აქვს თავისი საზღვრები: 1) სახემწიფო საადგილ-მამული ბანკს არა აქვს ნება გასცეს სესხი უფრო მკირედის სარგებლით, ვიდრე ამდევს მმართველობა სახემწიფო

გამოე. მა, აი, ეს როსთვის: ყველა ძველი მწერლები — პეროდოტი, სტრაბონი, პლუტარქი და სხ. — რომელნიც-კი მოგვიბრუნებენ ამ შესანიშნავს ზღაპარს, მასში უჩვენებენ ერთს საფურცელზედ მხარეს, სახელდობრივს, რომ ამაზონებს ყველანი ერთნაირად მიიჩნდათ ქმრობად.

ღაბალების შემდეგ ბავშვებს ასე იყოფდენ — ქალები მიჰყავდათ დედებს, ვაჭრები კაცებს, ეისაც შეხედებოდა: ყველა კაცს თავის თავი ბავშვის მამად მიანიდა¹⁵⁾. ამ ჭაქტიდამ დასკვნა ერთად-ერთია — ამაზონები საერთო ცოლებს შეადგენდნ. მა თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იმ დროს, როცა ვაჭრელები იყო ზღაპარი ამორძლებზედ, ძველი მწერლები (რომელნიც მოვიყვანეთ) პირ-და-პირ უჩვენებენ სხვა ქართველი ხალხის ტომთაც მათის საერთო ცოლ-ქმრობით, მაშინ გარამოცემა ამაზონებზე ნათელს ჰყენს ჩვენს საგანს.

ბ. ხიზანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

¹⁵⁾ Известія... стр. 19, 73, 125 და სხვ.



სესხისათვის; 2) უკველი მიწათმფლობელებს, რომელნიც მოვალენი არიან კერძო ბანკებისა, არ შეიძლება ისარგებლონ უფრო იათვის სესხით, უკეთე არ გადაიხდიან უწინდელს თავიანთ ვალს ან არ გადასაგრავებენ სახემწიფო სააღდგელ-მამულო ბანკში თავიანთ მამულებს. მაგრამ უკველია, რომ შეიძლება შემცირდეს გარდასახადი მომავლის ხანგრძლივის სესხისათვის 20-25%-მდე; სესხის გაიფუტვაში შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ კერძო სააღდგელ-მამულო ბანკებმა, თუ კი მოისურვებენ სხვა ურთიერთობა იტვირთონ მმართველობისა და მსესხებელთა მიმართ. ჭინანსთა მინისტრი სასურველად სთვლის ამ აზრის შესრულებას, რადგანაც იმის განზრახვა კერძო სესხის სისტემის მოსაზრება კი არ, არის არამედ მისი მოწიება საოკოველთათა სასიკეთოდ. ამის შემდეგ იუსტიციის სამინისტროს დახმარებით იცვლება განონი საქონლის საწყობთა შესახებ, რომელიც უკვე წარდგენილ იქნა ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო რჩევაში, ხოლო სახელმწიფო ბანკი არდგენს წესებს სესხის გაცემის შესახებ იმ პურის დაგირავებით, რომელიც იგზავნება რეინის გზებით საბაზრო ადგილებში.

იანვრის 2-ს.

კრანსპორტი-მაინეზი. პოლიციის მოხელე რუმპორი, რომელიც ცნობილი იყო თვისის მოქმედებით სოციალისტების წინააღმდეგ, მოჰყლეს გუმინ საკუთარი სახლის წინ; მკვლელობა არ აღმოუჩინიათ.

ბმრლინი. ოქციონური წყაროე ბილამ ისმის, რომ პურსა და შერიაზე ბაჟი სამჯერ გალიდებოა და დიკაზე ორჯერ.

კრანსპორტი-მაინეზი. რუმპორი მოკვდა სამჯერ ხანჯლის დაცემით გულში; გაცარცვით არ გაუცარცვით; ჰფიქრობენ, რომ მკვლელობის მიზეზი მტრობა უნდა ყოფილიყო; მკვლელობის აღმოჩენისათვის დანიშნულია 3,000 მარკა.

დღეს მომხდარს ტირაქში უმთავრესნი მოგებანი ერგო შემდეგს ბილეთებს 1-ლი შინაგანი სესხისათვის:

№№ სერიისა.	№№ ბილეთებისა.	მოგების ჯამი.
16,394	32	200,000
2,385	8	75,000
7,145	9	40,000
2,810	8	25,000
16,574	4	10,000
18,037	19	10,000
13,634	21	10,000
8,326	16	8,000
3,213	35	8,000

№№ სერიისა.	№№ ბილეთებისა.	მოგების ჯამი.
13,811	2	8,000
4,143	46	8,000
14,572	1	8,000
11,406	33	5,000
18,062	7	5,000
6,946	32	5,000
12,362	50	5,000
14,420	22	5,000
1,256	24	5,000
13,510	27	5,000
4,607	15	5,000
8,213	22	1,000
9,943	42	1,000
14,971	6	1,000
8,492	29	1,000
15,959	8	1,000
4,823	2	1,000
6,657	32	1,000
19,862	42	1,000
15,367	31	1,000
538	37	1,000
15,247	11	1,000
16,463	25	1,000
19,919	37	1,000
12,617	20	1,000
898	45	1,000
18,263	46	1,000
1,998	36	1,000
2,456	2	1,000
11,942	15	1,000
6,891	41	1,000

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი შარშიშვილი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულ საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნი ბბ. ექიმთა და ბებიათა.

პიქიჟი:

არსთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიძე-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

გზიჟი:

ვილიამოვი, სამშაბათობით.
ბაზინოვი, ორშაბათობით, და პარასკევობით.
სტუჟანოვი, ოთხშაბათობით და შაბათობით.
ლოძინა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

გაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე 1885 წ.

გამომცხვარი შური რუ. სეთის ფქვილისა— 1 გირ. 5 კ. **აქაურის ფქვილისა: ბირკელის ხარისხისა— 1 გ. 2 1/2 გ. მქარისა— — — 1 გ. 2 გ. იმავე ფქვილ. თარნეში გამომცხვარი: ბირკელის ხარისხისა— 1 გ. 4 1/2 გ. მქარისა— — — 1 გ. 3 გ. მესამისა— — — 1 გ. 2 1/2 გ.**

ჭვარის-მაში შური:
ბირკელი ხარის. ლაჟაში 1 გ. 4 1/2 გ.
მქარის ხარის. ლაჟაში 1 გ. 3 1/2 გ.
მესამისა — — — 1 გ. 3 გ.
ძირის ხარის:
ბირკელის ხარისისა— 1 გ. 8 გ.
მქარისა — — — 1 გ. 7 გ.
სუგა . . . — 1 გ. 15 გ.
ცხვრის ხარის — 1 გ. 8 გ.
ღობის ხარის:
ბირკელის ხარისისა— 1 გ. 8 გ.
მქარისა— — — 1 გ. 7 გ.

რეინის ვზა
თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდან მარტო საშურაშიდინ 9 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საქმარა 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღის უკან.
ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.
ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო საშურაშიდან თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით
ბაქოდან მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და შაბათობით საქმარა 7 ს. 53 წ. დიდ.)

თბილისში შემოდის თბილისში შემოდის თბილისში შემოდის


განცხადებანი

კოპირნი
იზიდ ისყიდება ხარკამბისის ვასასუტებლად სამსონ მღებროვის ზეთის ზავოლში, მრეწვის ქუჩაზედ, საკუთარს მღებროვის სახლებში, № 25 მე-6 განყოფილება, ქ. თბილისში. (3—3)

გამოვიდა და ისყიდება

ბედი
თხუფლება აკაგისა.

თბილისში — ხარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შევეროვთან.
ქუთაისს — ძმ. შილაძეების წიგნის მაღაზიაში. იქვე ისყიდება სხვა თხუფლებებიც აქაგისა. (5—3)




გამომცხვარი ნიკოლსკის მანუ.

ქაძაშურის ამხანაგობისა

«საბა მორაზოვის შვილი და ამს.»
ქვესპატივი შეატყობინოს ბბ-თ ვაჭრებს, რომ მათის სარგებლობასათვის 1885 წ. იანვრის 1-დამ, გაიხსნება საწყობი ერთობით გაცილებისათვის, როგორც ბამბის ნაწარმოებისა, აგრეთვე აღისფერის საქონლისა სოკოლოდის მანუქატურისა, ასაუა ბარანოვისა და შარის საქონელი ბუტუკოვის მანუქატურისა.
საწყობი განსილია ბაქოში, ლალაევის სახლში, «ქმარის» სასტუმროს მახლობლად.
საქონლის ფასი იგივეა, რამდენიც საერთო საწყობებში მოწყობისა. (5—5)

ინგლისური რეინის კარბატი.



ქეთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ღებობა, ზღვის ბაღსით გატეხილი მანეთი 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნიუთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, კიდევ სხვაგან სადმე: ბრიტანის მქტაღის ნიუთები, ჩაიდები, საკარაქე, სამაქე, ჩაის და სტოლის ვაკოზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგელი, ჰირის-საბანი, სტაქსები, სუფოგინი, საწყაო, სუგები, რიუგები, გრაფინები, საქმური თებები, ბლიუდები, სასალატოები, ტაშტები, საძმეკები, სამარილკები, გარნიცის საფხეკები, უნაგირები გატისა და ქალისა; აღვირები, სლისტები, ტანის-მოსის დასაგადებლები, საბადო მკრატლები, გაქსები, უთაუბი, წისკველეები, სეზები, ქალები, კლიტები, ინგლისის თაუბი და რეკლეკები, ბიუები, ზარაღები, გასისულები, საფანგები, ნინბები, ვატკანოები, საბნები, ჩეულები, წინდები, სუფოგები, სალქატებისათვის რეკლები, კამაღანი ქურჭელი, მუწაბები, გამეთეკები, პიკოლები, სოუსები, ზღვის ბაღსი, დიმიტკოები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს უფრადება მიაქცეთ. (100—73)

გეპილი
მიცავ ყოველგვარს სისხლის სამართლის საქმეებს. უსასყიდლოდ ვეექილობდა რჩევას ვაძლეე დაწინა. მცხოვრებ ვაჭართან, «ზოლადოა იკურის» სასტუმროში, ი. ა. ძაცვი. (8—6)